

ხელშეკრულება #TR-3-2019  
შესყიდვის შესახებ

25 მარტი 2019წ.

ქ. თბილისი

ერთი მხრივ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, (შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული) წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსის ვახტანგ შავგულიძის სახით და მეორე მხრივ შპს „სკაფისი“ (შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული) წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ლაოშვილის სახით, (ორივე ერთად „მხარეებად“ წოდებული) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტისა და 2019 წლის 25 მარტის N138545 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 ხელშეკრულება – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.
- 1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სწავლებისა და სასერთიფიკატო მომსახურების გაწევა. კერძოდ, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელი 2019 წლის 26 მარტიდან უზრუნველყოფს შემსყიდველის არა უმეტეს 7 (შვიდი) თანამშრომლისათვის 20 (ოცი) საათიანი სწავლებასა და სერტიფიცირებას ARcGIS ზოგადი კურსის სფეროში, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3500 (სამიათას ხუთასი) ლარს. ამასთან ერთი პირის სერთიფიცირების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.
- 3.2 მხარეები თანხმდებიან, რომ შემსყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების თანხას გადაიხდის ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
- 3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.



#### 4. მხარეთა ვალდებულებები

##### 4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) 2019 წლის 26 მარტიდან, უზრუნველყოს შემსყიდველის არაუმეტეს 7 (შვიდი) თანამშრომლისათვის სერტიფიცირებისთვის აუცილებელი 20 (ოცი) საათიანი სწავლების უზრუნველყოფა თანდართული სასწავლო პროგრამის შესაბამისად.
- ბ) თანამშრომლეთა მიერ სასწავლო კურსის სრულად გავლის შემდეგ უზრუნველყოს მათი სერტიფიცირება.
- გ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები.

##### 4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;
- ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

#### 5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს;

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მსოფლიო ბანკის „ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის გეოინფორმაციული სისტემების უფროსი ადმინისტრატორი მიხეილ გიგუაშვილი;

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის შესახებ ინსპექტირების განმახორციელებელი პირი წერილობითი სახით შეატყობინებს მიმწოდებელს.

#### 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

#### 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

- ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
- ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;
- გ) დაფინანსების წყარო: მსოფლიო ბანკის GILMD პროექტის (კრედიტი IDA N5456-GE) მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის სახსრები;

7.2 მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება მომსახურების სრულად გაწევისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

#### 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის



და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით, ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით;

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით, რის შესახებაც წინასწარ წერილობითი სახით უნდა აცნობოს ამ უკანასკნელს;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით;

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.



### 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივნისამდე.

### 14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით;

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შექცევით და სხვა;

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

### 15. მხარეთა რეკვიზიტები:

#### შემსყიდველი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,  
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2  
ხაზინის ერთიანი ანგარიში:  
№GE24NB0330100200165022,  
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22  
სავალუტო კოდი: 202255407  
ს/კ 202238621



შემსყიდველის სამსახურის უფროსი  
ვახტანგ შავჭულიძე

#### მიმწოდებელი

შპს „სკაფისი“  
მისამართი: თბილისი, ი. პეტრიწის ქ. 12, ბინა 87  
საბანკო რეკვიზიტები: ა/ა GE07BG0000000285193100  
მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“  
ბანკის კოდი: BAGAGE22  
ს/კ 404877433



დირექტორი  
ზურაბ ლომჯიანი

სასწავლო პროგრამა

სპეციფიკაცია 1

**ARCGIS**

**ზოგადი სასწავლო კურსი (I დონე)**

**გაკვეთილი 1. ArcGIS-ის პროგრამული პაკეტის მიმოხილვა**

1. რა არის გეოინფორმაციული სისტემა (გის) ▪ გის-ის არსი და მნიშვნელობა ▪ გის-ის სტრუქტურა და გის-ის ფუნქციები ▪ გის-ის პროგრამული უზრუნველყოფა 2. ArcGIS-ის პროგრამული პაკეტის გაცნობა 3. ArcGIS-ის დამატებებითი აპლიკაციები ▪ ArcCatalog ▪ ArcMap ▪ ArcToolbox 4. ArcMap-ის ინსტრუმენტების პანელის ორგანიზება 5. ArcMap-ის დოკუმენტი (პროექტი) - \*.mxd და მისი პარამეტრები ▪ ახალი დოკუმენტის (პროექტის) შექმნა და შენახვა ▪ Map Documents Properties 6. შემადგენლობის ცხრილის (Table Of Contents) პარამეტრები ▪ ზომის ერთეულების განსაზღვრა ▪ Reference Scale-ის გამოყენება ▪ კოორდინატთა სისტემის მართვა 7. თემატური ფენის პარამეტრების (Properties) მართვა

**გაკვეთილი 2. გის-ის ვექტორული და რასტრული მონაცემების შექმნა**

1. ვექტორული მონაცემების (თემატური ფენების) შექმნა ▪ შეიფ-ფაილის (\*.shp) შექმნა ▪ GPS მონაცემების გარდაქმნა შეიფფაილად ▪ GPS მონაცემების ინტეგრირება გის ფორმატში ▪ Geotagged Photos to point ▪ AutoCAD-ის (\*.dwg) ფაილის გადაყვანა შეიფფაილის (\*.shp) ფორმატში ▪ გეომონაცემთა ბაზები (Geodatabase) ▪ მონაცემთა კრებული (Feature Datasets) ▪ ობიექტთა კლასი (Feature Classes) ▪ დომენები (Domains) და ქვეტიპები (Subtypes) ▪ შეიფფაილის (\*.shp) ესქპორტი გეომონაცემთა ბაზაში

**2 თორნიკე რისტავი თბილისი ეორგია 0192 -მაილ: სკაფის2010გმაილ.კომ**

2. რასტრული მონაცემების ორგანიზება ▪ ტოპოგრაფიული რუკის ან გეგმის გეორეფერენცირება სხვადასხვა ხერხებით ▪ Google Earth-ის რასტრული მონაცემების გეორეფერენცირება ▪ SAS Planet-ის ორთოგამოსახულების გამოყენება ▪ რელიეფის ციფრული მოდელის (DEM) ჩამოტვირთვა Global-Mapper-იდან ▪ რელიეფის ციფრული მოდელის (DEM)-ის გენერირება ვექტორული მონქცემებიდან



### **გაკვეთილი 3. ვექტორული ფენების დიგიტალიზაცია (აციფრვა)**

1. მოსამზადებელი სამუშაოები ▪ შაბლონის (Template) ორგანიზება ▪ აციფრის ფიგურები და ინსტრუმენტების გაცნობა 2. წერტილოვანი სივრცითი ობიექტების დიგიტალიზაცია (აციფრვა) და რედაქტირება ▪ წერტილოვანი ობიექტების აციფრის წესები 3. ხაზოვანი სივრცითი ობიექტების დიგიტალიზაცია (აციფრვა) და რედაქტირება ▪ ხაზოვანი ობიექტების აციფრის წესები 4. პოლიგონური სივრცითი ობიექტების დიგიტალიზაცია (აციფრვა) და რედაქტირება ▪ პოლიგონური ობიექტების აციფრის წესები

### **გაკვეთილი 4. ვექტორული ფენების რედაქტირება**

1. სხვადასხვა ტიპის ბრძანებების და ინსტრუმენტების (Move, Split, marge, Proportion, Construct Points, Copy Paralel, Buffer, Erase, Intersect, Spatial Join, და სხვა) გამოყენება ვექტორული სივრცითი ობიექტების დასამუშავებლად 2. გაფართოებული რედაქტირება (Advanced Editing) 3. Geoprocessing-ის ფუნქციები (Buffer, Clip, Intersect, Union, Marge, Dissolve) 4. Spatial Adjustment-ის გამოყენება 5. Parcel Editor -ის ზოგიერთი ფუნქცია

### **გაკვეთილი 5. ატრიბუტულ ცხრილებთან მუშაობა**

1. ატრიბუტული ცხრილები 2. ატრიბუტული მონაცემების ტიპები, ცხრილებში ველების დამატება და წაშლა 3. მონაცემთა ველების თვისებები 4. ატრიბუტული ცხრილების შევსება და რედაქტირება 5. სხვადასხვა თემატური ფენების ატრიბუტული ცხრილების დაკავშირება 6. ატრიბუტული მონაცემების პრაქტიკული გამოყენება ▪ რამდენიმე ველის რიცხვითი მონაცემების არითმეტიკული დამუშავება ▪ გეომეტრიის დათვლა (Calculate Geometry) – კოორდინატების გამოთვლა – სიგრძის, პერიმეტრის და ფართობის გამოთვლა  
**2 თორნიკე რისტავი თბილისი ეორგია 0192 -მაილ: სკაფის2010გმაილ.ცომ**  
▪ ველის გამომთვლელის (Field Calculator) ზოგიერთი საჭირო ფუნქცია ▪ მონაცემთა სტატისტიკური დათვლა ▪ მონაცემთა დაჯამება ▪ დაკავშირებული ცხრილები

### **გაკვეთილი 6. გეომონაცემთა შერჩევა (ჩიხვა)**

1. მონაცემთა ძიება ინსტრუმენტით (Find) გამოყენება 2. მონაცემთა შერჩევის ტიპები. ინტერაქტიური შერჩევის მეთოდები 3. მონაცემთა თემატური შერჩევა (Select By Attributes) 4. მონაცემთა სივრცითი შერჩევა (Select By Location) 5. მონაცემთა შერჩევა გრაფიკული ელემენტით (Select By Graphics)

### **გაკვეთილი 7. გეომონაცემთა ვიზუალიზაცია**

1. გეომონაცემთა ვიზუალიზაციის სახეები: ერთეული

სიმბოლო, უნიკალური მნიშვნელობა, გრადირებული ფერი, გრადირებული სიმბოლო, კარტოგრაფია 2. სამომხმარებლო პირობითი ნიშნების შექმნა

- ნერტილოვანი პირობითი ნიშნის შექმნა
- ხაზოვანი პირობითი ნიშნის შექმნა
- პოლიგონური პირობითი ნიშნის შექმნა ▪ Style Manager 3. გრაფიკები 4. ტიპური ანგარიშები

### **გაკვეთილი 8. ნარწერები**

1. გრაფიკული ნარწერები 2. ნარწერების დამატება ატრებიუტული ცხრილიდან 3. ინსტრუმენტების პანელის Labelong გამოყენება და ნარწერებთან მუშაობა 4. ნარწერების რედაქტირება 5. ნარწერების გარდაქმნა გრაფიკულ ელემენტად 6. MapLex-ის ძირითადი ფუნქციების გამოყენება 7. ანოტაციური კლასი 8. AutoCAD-ის (\*.dwg) ნარწერების გადაყვანა გის-ის ფორმატში

### **გაკვეთილი 9. რუკის კომპოზიცია და ბეჭდვა**

1. მონაცემთა გადაყვანა კომპოზიციის ფანჯარაში 2. საბეჭდი ფორმატის ორგანიზება 3. სათაურის დამატება 4. ლეგენდის დამატება 5. პორიზონტის მხარეების მაჩვენებლის დამატება 6. მასშტაბის დამატება და რედაქტირება

**2 თორნიკე რისტავი თბილისი ეორგია 0192 -მაილ: სკაფის2010გმაილ.ცომ**

7. გრაფიკული ელემენტების დამატება 8. სურათის დამატება 9. სხვადასხვა პროგრამული ფაილების დამატება 10. კოორდინატთა ბადის (Grid) აგება და დამუშავება 11. Extent Indicator-ის გამოყენება 12. Data Frame-ის გამოყენება 13. ჩანართი რუკები 14. კომპოზიციური შაბლონის გამოყენება 15. რუკის კომპოზიციის ელემენტების დამუშავება 16. საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის გენერირება 17. ადგილის ტოპონახაზის გენერირება 18. რუკის ბეჭდვა. მრავალფურცლიანი ბეჭდვა 19. რუკის კომპიზიციის ექსპორტი

### **გაკვეთილი 10. პრაქტიკული გის და სასარგებლო უნარ-ჩვევები**

1. სივრცითი ობიექტების (ვექტორული და რასტრული) მოჭრა პოლიგონით 2. მანძილის და ფართობის განსაზღვრა 3. ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრა კოორდინატებით 4. სანიშნის (Bookmarks) და ჩემი ადგილის (MyPlaces) გამოყენება 5. Hyperlink-ის ორგანიზება და გამოყენება 6. HTML Popup 7. დროის მართვა – Time Slider 8. სივრცითი ობიექტების დასმა Google Earth-ზე 9. ვექტორული ფენების შექმნა Google Earth-დან 10. კოორდინატების გარდაქმნა 11. ინდექსური ბადის აგება 12. ტოპოლოგია 13. ModelBuilder-ის აგება და გამოყენება 14. რიგი სასარგებლო გის უნარ-ჩვევები